საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5406
20/09/2022

5406-21-2-202209201133

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №150
ელ. ფოსტა: info@mkr.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4180 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, სადგურ კარწახის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს 2013 წლის 3 ივნისს (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №23; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - ბრძანება №2-789), შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის „ახალქალაქი-კარწახის“ უბნის კორექტირებული მონაკვეთის (სადგურ კარწახიდან გვირაბამდე და გვირაბი თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლით.

ამასთან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. ამასთან, სკრინინგის განცხადება უნდა მომზადდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაწმენდილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია „ხევში და შემდეგ რელიეფის მიხედვით კარწახის ტბაში“. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული ხევის შესახებ, აგრეთვე, ხევის გავლით გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი წყლის ტბაში მოხვედრის შესახებ (საპროექტო ტერიტორიიდან კარწახის ტბის დაშორების მანძილის გათვალისწინებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო